უკრაინის ხმელნიცკის ოლქის დეპუტატისა და პოლიციის მხარდაჭერით მიტაცებულია სოფელ ზაგონცის პოკროვის ტაძარი

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 31.03.2034. 2024 წლის 28 მარტს, „ПЦУ“-ს მხარდამჭერებმა ხმელნიცკის რაიონული საბჭოს დეპუტატის, ალექსანდრე ჩერნიევიჩის მონაწილეობით, ბოქლომები მოაჭრეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პოკროვის ტაძრის ორივე შესასვლელ კარს სოფელ ზაგონცში (უკრაინის ხმელნიცკის ოლქის ხმელნიცკის რაიონი) და შენობას დაეუფლნენ.

ტაძრის მიტაცება მოხდა პოლიციის თანამშრომლების უმოქმედობის ფონზე. ამის შესახებ **იტყობინება** მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირი ხმელნიცკის ეპარქიის პრეს-სამსახურზე დაყრდნობით.

მორწმუნეებმა შემთხვევის ადგილიდან ვიდეო გამოაქვეყნეს – მასზე ჩანს, რომ დეპუტატმა ქალს ჩანთა ხელიდან გამოგლიჯა, იქიდან ტელეფონი ამოიღო და მიწაზე დაანარცხა. „პოლიცია საერთოდ არ რეაგირებდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ერთმა პოლიციელმა, რომელიც ამ შემთხვევას

ესწრებოდა, თქვა, რომ არაფერი დაუნახავს“, – ამბობს დაზარალებული. ვიდეოში ასევე ისმის, როგორ უკრძალავს მამაკაცი გადაღებას, როგორ ჭრიან რეიდერები ბოქლომებს.

ეპარქიაში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ტაძრის წართმევა „ПЦУ“-ს წარმომადგენლების მიერ უკანონოა. „პოკროვის რელიგიური თემის მუდმივ მრევლს არ შეუცვლია თავისი დაქვემდებარება ორგანიზაციულ და კანონიკურ საკითხებში, არამედ, პირიქით, საკუთარი ნებით რჩებიან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში ხელმძღავნელი ცენტრით კიევში. ეს გადაწყვეტილება მიღებულია საერთო სამრევლო კრებაზე 2023 წლის 14 ოქტომბერს“, – ნათქვამია განცხადებაში.

აღნიშნულია, რომ წესდების ხელახალი რეგისტრაცია და პოკროვის სამრევლოს ხელმძღვანელის შეცვლა მოხდა უკრაინის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ნორმების დარღვევით. როგორც ეპარქიაში აცხადებენ, საკუთრების მოწმობის საფუძველზე ტაძარი დღემდე ეკუთვნის უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას.

პოკროვის სამრევლოს რელიგიური თემის ლიტურგიული და სამრევლო ცხოვრება გაგრძელდება, – განაცხადეს ეპარქიის პრეს-სამსახურში და აღნიშნეს, რომ „წინამძღვარი და რეგულარული მრევლი იმედოვნებენ რელიგიური თავისუფლების კონსტიტუციური უფლებების აღდგენას და მომავალში კანონის უზენაესობის რეალურ ამოქმედებას“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91610/